სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

_____ კახაბერ კირტავა

„—30—„–12——„ 2014 წელი

2 ეგზ.

შპს „ბათუმის წყალი“

ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N 37/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ 3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 3
აუდიტორის პასუხისმგებლობა 3
პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ 4
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ 7

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ 7
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა 7
აუდიტორის პასუხისმგებლობა 7
პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ 8
პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ 13

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა 14
• საზოგადოების 2013 წლის ბალანსი 14
• საზოგადოების წესდება 14
• წყლის დანაკარგი 14

ანგარიშგების ფორმები 16

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

შპს „ბათუმის წყალის“ ხელმძღვანელობას

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ჩაატარა შპს „ბათუმის წყალის“ ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელმაც მოიცვა საზოგადოების 2013 წლის ბალანსი 31 დეკემბრის მდგომარეობით და ბუღალტრული აღრიცხვის პირველადი დოკუმენტები.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

შპს „ბათუმის წყალის“ ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის №70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულებისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, რომ აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების

შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი შპს „ბათუმის წყალის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომძიებო დეპარტამენტის მიერ 2013 წლის 4 თებერვალს ამოღებული იქნა შპს „ბათუმის წყალის“, 2006 წლის 21 მარტიდან 2013 წლის 1 თებერვლამდე პერიოდის, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი პირველადი დოკუმენტაცია, რის გამოც მიმდინარე აუდიტი შეეხო 2013 წლის 1 თებერვლიდან 2013 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდს.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი ფინანსური ანგარიშგების შესახებ

1. 2013 წელს საგადასახადო ორგანოში არასრულადაა წარდგენილი დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციები. ამასთან შპს „ბათუმის წყალის“ მიერ, ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საკითხი საგადასახადო ორგანოს მხრიდან დამატებით შესწავლის საგანს წარმოადგენს.

შპს „ბათუმის წყალის“ მიერ საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციების შესაბამისად, 2013 წელს დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვა 6912,1 ათასი ლარით განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ორგანოში არ არის წარდგენილი 2013 წლის მაისის თვის დეკლარაცია. ამასთან, დამატებული ღირებულების გადასახადით დასაბეგრ ბრუნვაში არ არის გათვალისწინებული 1232,0 ათასი ლარი. კერძოდ:

- შპს „ბათუმის წყალს“, ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტიდან სუბსიდირების სახით მიღებული აქვს 1232,0 ათასი ლარი. „თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის 2013 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ბათუმის საკრებულოს 2012 წლის 31 დეკემბრის N61 დადგენილების შესაბამისად, სუბსიდირება გათვალისწინებულია ქალაქის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემის

მომსახურების ტარიფების შენარჩუნების მიზნით, რაც თავისი შინაარსიდან, გამომდინარე მომსახურების მიწოდებით მიღებულ შემოსავალს განეკუთვნება და იგი ამავე კატეგორიაშია გათვალისწინებული მოგების გადასახადის დეკლარაციაში. 2013 წელს ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფით არ მოხდა ქალაქის მოსახლეობისათვის სასმელი წყლის მიწოდებისა და საკანალიზაციო სისტემის მომსახურების ტარიფების ზრდა, ანუ ადგილი აქვს მოქმედებისაგან თავის შეკავებას, რაც საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-14 მუხლის „ლ“ პუნქტის შესაბამისად, მომსახურეობას განეკუთვნება. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ დაფინანსების ფორმის მიუხედავად შინაარსის ფორმაზე აღმატებულობის პრინციპიდან გამომდინარე, ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად წარმოადგენს დღგ დასაბეგრ ოპერაციას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს „ბათუმის წყალის“ მიერ, ქ. ბათუმის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული თანხის, დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგვრის საკითხი საგადასახადო ორგანოს მხრიდან დამატებით შესწავლის საგანს წარმოადგენს.

2. შეუსაბამობაშია საზოგადოების ბალანსზე რიცხული, ქონების გადასახადით დასაბეგრი ძირითადი აქტივების საბუღალტრო და საგადასახადო პარამეტრები

საბუღალტრო ჩანაწერების შესაბამისად, 2013 წლის დასაწყისისათვის საზოგადოების ძირითადი საშუალებების(გარდა მიწისა) ნარჩენი ღირებულება 23 984,9 ათას ლარს, ხოლო 2013 წლის ბოლოსათვის - 67 176,5 ათას ლარს შეადგენდა. შესაბამისად, საბუღალტრო მონაცემებით ქონების საშუალო წლიური ღირებულება 45580,7 ათას ლარს შეადგენს, რაც 650,0 ათასი ლარით ნაკლებია 2013 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციით განსაზღვრულ ღირებულებაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ არ არის ჩატარებული 2013 წლის ინვენტარიზაცია[1], რითაც დაზუსტდებოდა საზოგადოების კუთვნილი ქონების ღირებულება.

3. 2013 წელს ერთობლივ შემოსავალში არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებების პირობების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით დარიცხული 5,6 ათასი ლარი.

[1] შეუსრულებელია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი.

2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს სახით შპს „ბათუმის წყალის“ მიერ დარიცხულია 6,6 ათასი ლარი, რომელსაც საზოგადოება ანგარიშსწორების განხორციელებისას აკლებდა, შესრულებული სამუშაოსა თუ მომსახურების ღირებულებას და შესაბამისად ხდებოდა მიმწოდებელთან ანგარიშსწორება. აუდიტით დადგენილია, რომ რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა პირგასამტეხლოს სახით დარიცხული თანხების ერთობლივ შემოსავალში გათვალისწინება. კერძოდ, 2013 წელს პირგასამტეხლოს სახით დარიცხული თანხიდან 5,6 ათასი ლარი არ არის გათვალისწინებული 2013 წლის ერთობლივ შემოსავალში.

4. სამივლინებო ხარჯების სახით 2013 წელს მივლინების სადღეღამისო ხარჯების სახით დარიცხულია, განსაზღვრულ ნორმასთან შედარებით 5,3 ათასი ლარით მეტი. ამასთან შეუსაბამოა მივლინების ხარჯების საბუღალტრო და საგადასახადო აღრიცხვის პარამეტრები.

შპს „ბათუმის წყალს“ საბურღალტრო მონაცემების შესაბამისად, 2013 წელს სამივლინებო ხარჯების სახით დარიცხული აქვს 57.4 ათასი ლარი. მათ შორის სადღეღამისო და საცხოვრებელი ფართის დაქირავების ხარჯები - 40,9 ათასი ლარი, მგზავრობის ხარჯი - 5,3 ათასი ლარი, ავტომანქანის დაზღვევის ხარჯი -1,4 ათასი ლარი და მივლინების ქვეყანაში გადაადგილებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი - 9,8 ათასი ლარი. „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანების შესაბამისად, მივლინების ხარჯებს განეკუთვნება სადღეღამისო, მგზავრობის და საცხოვრებელი ადგილის დაქირავებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, ავტომანქანის დაზღვევისა და მივლინების ქვეყანაში გადაადგილებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი არ განეკუთვნება მივლინების ხარჯებს და წარმოადგენს საზოგადოების საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობათან დაკავშირებულ სხვა ხარჯებს. ამასთან, ქვეყნის შიგნით მივლინებისას, საზოგადოების დირექტორის ბრძანების შესაბამისად, მივლინების სადღეღამისო ხარჯების სახით 77 შემთხვევაში დარიცხულია, განსაზღვრულ ნორმასთან[2] შედარებით, 5,3 ათასი ლარით მეტი და სახელფასო განაცემის ნაცვლად მიკუთვნებულია მივლინების ხარჯებზე.

აღსანიშნავია, რომ საბუღალტრო მონაცემებისაგან განსხვავებით, საზოგადოების 2013 წლის მოგების გადასახადის დეკლარაციაში მივლინების ხარჯების სახით

[2] „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანებ

დაფიქსირებულია 33,7 ათასი ლარი, ანუ საბუღალტრო მონაცემებთან შედარებით 23,7 ათასი ლარით ნაკლები.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე შესაძლო გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შპს „ბათუმის წყალის“ ფინანსურ მდგომარეობას 2013 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აგრეთვე მათი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომლებიც დასრულდა მოცემული თარიღით.

დასკვნა საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და მის სამართლიან წარდგენაზე პასუხისმგებლობის გარდა, რომელიც აღწერილია ზემოთ, საზოგადოების ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

გარდა ფინანსურ ანგარიშგებაზე მოსაზრების გამოთქმის პასუხისმგებლობისა, რომელიც აღწერილია ზემოთ, აუდიტის დეპარტამენტის აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებლობაა აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა საზოგადოების საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

1. ***შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად, არამიზნობრივად გახარჯულია 2.6 ათასი ლარი და ადგილი აქვს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციების გამოუყენებლობის ფაქტს.***

სახელმწიფო შესყიდვების[3] შედეგებიდან გამომდინარე, 2013 წლის 4 მარტს შპს „MEDMARINE”-თან გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 100 ტონა ქლორიანის (თხევადი ქლორის) მიწოდების შესახებ. ხელშეკრულებით ერთეულის ღირებულება 2,4 ლარით, ხოლო საერთო ღირებულება 240,0 ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა საქონლის მიწოდებას შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

შპს „ბათუმის წყალის“ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად, 2013 წელს აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებულია სულ 38,7 ტონა ქლორიანი. ამასთან, 2 შემთხვევაში[4] მიწოდებული საქონლის, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთეულის ღირებულების გაზრდის შედეგად, მიმწოდებელზე ზედმეტად გადახდილია 2,6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ დამკვეთის მიერ 2013 წლის 11 ნოემბერს გაკეთებული მოთხოვნა 12 ტონა ქლორიანის მიწოდების შესახებ არ შესრულებულა, თუმცა მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის საჯარიმო სანქციები არ იქნა გამოყენებული, რაც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისათვის დასაბეგრ შემოსავლის კატეგორიას განეკუთვნება.

2. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ადგილი აქვს შემსყიდველისათვის ხელშეკრულების პირობების გაუარესების ფაქტებს და ამასთან ვერ იქნა წარმოდგენილი ცვლილებების აუცილებლობის არგუმენტირებული დასაბუთება.

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შედეგებიდან გამომდინარე, 2013 წლის 3 ივნისს შპს „GEOMETAL”-სა და შპს „ბათუმის წყალს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება წყლის მრიცხველის ყუთების მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 34,9

[3] SPA 130002306

[4] სასაქონლო ზედდებულები Nელ-0081031656 და Nელ-0076180901. სხვაობა ერთეულზე 0,2 ლარი

ათასი ლარით განისაზღვრა და ითვალისწინებდა 2013 წლის 3 დეკემბრამდე სხვადასხვა პარამეტრების 650 ცალი წყლის მრიცხველის ყუთების მიწოდებას.

2013 წლის 13 ივნისს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ, რითაც 5 სმ-ით შემცირდა ყველას სახის ყუთის სიგრძისა და სიმაღლის ზომები, ხოლო ხელშეკრულების ღირებულება იგივე დარჩა. ამასთან, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა მიწოდებული ცვლილების აუცილებლობის განმსაზღვრელი დოკუმენტი.

შპს „KSB”-თან 2013 წლის 15 აგვისტოს, ტუმბოების შეკეთების შესახებ გაფორმებულ N170 ხელშეკრულებაში[5] განხორციელებული ცვლილებით, ხელშეკრულების ღირებულება გაიზარდა 1,3 ათასი ლარით, თუმცა აღნიშნული ცვლილების აუცილებლობის განმსაზღვრელი დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი

ცვლილებების აუცილებლობის განმსაზღვრელი სათანადო დოკუმენტი ვერ იქნა წარმოდგენილი შპს „MEDMARINE”-თან 2013 წლის 8 აგვისტოს, კალციუმის ქლორიდის მიწოდების შესახებ გაფორმებულ N162 ხელშეკრულებაში[6] განხორციელებულ ცვლილებასთან დაკავშირებითაც. აღნიშნული ცვლილებით, გაგრძელებული იქნა საქონლის მიწოდების ვადა 18 კალენდარული დღით. ცვლილებას საფუძვლად დაედო მიმწოდებლის პარტნიორის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც ვერ იქნა მიჩნეული ცვლილებების აუცილებლობის პირობად.

ზემოთ აღნიშნული ცვლილებების განხორციელებისას არ არის დაცული კანონდებლობის მოთხოვნა[7], რომლის მიხედვითაც მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად შემსყიდველი ორგანიზაციისათვის უარესდება ხელშეკრულებების პირობები.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესრულებათან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტებით ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულებისა და შესაბამისად საჯარიმო სანქციების გამოუყენებლობის კანონიერების მდგომარეობა.

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულ რიგ ხელშეკრულებებში საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელებულიყო დამკვეთის მოთხოვნის მიხედვით გაკეთებული დაკვეთის შესაბამისად. კერძოდ:

[5] ღირებულება 16,3 ათასი ლარი
[6] ღირებულება 33,8 ათასი ლარი
[7] შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

N	ხელშეკრულების ნონმერი და თარიღი	მიმწოდებელი	ღირებულება	ხელშეკრულების საგანი	მიწოდების პირობა
1	N62. 22,.04.2013	შპს „კომპუს ბათუმი“	22661	კომპიუტერული მოწყობილობები	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში
2	N69. 29.04.2013	შპს „თასმანია“	27570	ავტო-თვითმცლელით მომსახურება	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში
3	N199. 11.09.2013	შპს „მართვე -5“	10000	ცემენტი	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში
4	N320. 26.12.2013	შპს „როდა“	24195	ცემენტი	მიწოდება უნდა განხორციელდეს მოთხოვნიდან 2 კალენდარული დღის განმავლობაში

ცხრილში მოყვანილ ხელშეკრულებებთან მიმართებით, აუდიტის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია გაკეთებული დაკვეთების შესახებ, თუმცა სხვა შემთხვევებში ანალოგიური დაკვეთების შეუსრულებლობისათვის გამოყენებულია საჯარიმო სანქციები. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევებში ვერ დგინდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დროულად შესრულების მდგომარეობა, რაც ხელშეკრულების პირობების გათვალისწინებით საჯარიმო სანქციის გამოყენებას განაპირობებს და რომელიც საზოგადოების შემოსავლის კატეგორიას განეკუთვნება.

4. შესყიდვების მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების შედეგად, ადგილი აქვს საზოგადოების კუთვნილი თანხების არაეკონომიური განკარგვის ფაქტებს, რაც გადაუდებელი აუცილებლობის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით შესყიდული მომსახურებისათვის გადაუდებელი აუცილებლობის დაუსაბუთებლობაში და კონკურენციის შეზღუდვაში გამოიხატება. ამასთან არ ტარდებოდა ბაზრის კვლევა, რითაც განისაზღვრებოდა საზოგადოებისათვის მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები.

შპს „ბათუმის წყალის“ მიერ ორჯერ, 2013 წლის 15 ივნისს და 7 აგვისტოს, გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერი მსუბუქი ავტომანქანების (ყველგანმავალი და უნივერსალი ფურგონი) შესყიდვის შესახებ. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, განსაზღვრული ავტომანქანების ტექნიკური პარამეტრები ორივე შემთხვევაში იდენტურია და სავარაუდო ღირებულება 77,0 ათას ლარს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ავტომანქანების ტექნიკური მახასიათებლების განსაზღვრისას გამოყენებულია ისეთი პარამეტრები როგორიცაა სიგრძე, სიმაღლე, საბარგულის სიგრძე და სიგანე, გარბენი და სხვა.

ელექტრონული ტენდერები ორივე შემთხვევაში არ შედგა, რის შემდეგაც ქალაქ ბათუმის საკრებულოს თამჯდომარის ნებართვის საფუძველზე, შემსყიდველი ორგანიზაციის გამართული და უწყვეტი ფუნქციონირებისათვის აუცილებლობის მოტივით, 2013 წლის 20 სექტემბერს, „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამატივებული შესყიდვის გზით გაფორმდა ხელშეკრულება შპს „ბათუმმშენი 2005“-თან, ავტომანქანა „MITSUBISHI L200“-სა და ავტომანქანა “RENAULT KANGOO”-ს მიწოდების შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება 77,0 ათასი ლარით განისაზღვრა, მათ შორის MITSUBISHI L200“- 51,7 ათასი ლარი და “RENAULT KANGOO”-25,3 ათასი ლარი.

გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მახასიათებლები რიგ შემთხვევაში არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ პარამეტრებს. კერძოდ, უნივერსალი ფურგონი ავტომანქანისათვის სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი იყო სიმაღლე 1850 მმ-დან -1950მმ-მდე და საბარგულის მოცულობა არანაკლებ 3000 ლიტრი, ხოლო გაფორმებულ ხელშეკრულებში აღნიშნული პარამეტრები განსაზღვრული იქნა შესაბამისად 1809 მმ და 1521 მმ, რაც ეწინააღმდეგება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის, მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილია მეორადი ავტომანქანების მიწოდება, რომელთა გარბენი არ უნდა ყოფილიყო 10000 კმ-ზე მეტი, აღნიშნული პარამეტრი გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად დაზუსტდა „MITSUBISHI L200“-თვის-6500 კმ-მდე, ხოლო “RENAULT KANGOO”-თვის-7200 კმ-მდე. აღსანიშნავია, რომ ავტომანქანა “MITSUBISHI L200“-ის განარბენი ავტომობილის საგზაო ფურცლის მონაცემებით ფიქსირდება ნულად, რაც არარეალურია და რისკის შემცველ გარემოებად უნდა შეფასდეს.

მიწოდებული ავტომანქანის ტექნიკური პარამეტრების დაზუსტების მიზნით, გარე დადასტურების ფორმით, შპს „ბათუმმშენი -2005“-გან გამოთხოვილი ინფორმაციის შესაბამისად, ავტომანქანები შეძენილია შპს „ნიუ კომუნალ სერვისიდან“ 2013 წლის 4 ივლისსა და 18 სექტემბერს. გაფორმებული ხელშეკრულებების საერთო ღირებულება 68,0 ათას ლარს, ანუ შპს „ბათუმის წყალის“ მიერ გადახდილ თანხაზე 9,0 ათასი ლარით ნაკლებს შეადგენს. ამასთან აღსანიშნავია, რომ არ ჩატარებულა ბაზრის კვლევა, რითაც განისაზღვრებოდა შპს „ბათუმის წყალის“-თვის მისაღები ხელშეკრულების ოპტიმალური პირობები[8].

[8] შეუსრულებელია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის მოთხოვნები.

როგორც აღინიშნა ავტომანქანების შესყიდვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით გამარტივებული შესყიდვის ფორმით განხორციელდა, თუმცა ორგანიზაციის გამართული და უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მოტივით, მათი დაუყოვნებლივ შესყიდვის აუცილებლობა არ დასტურდება.

5. შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე, სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის პარამეტრების ცვლილებით, ადგილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას და შესაძლოა გათვლილი იყოს კონკრეტულ მიმწოდებელზე.

2013 წლის 6 აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი 25,0 ათასი ცალი სამშენებლო ბლოკების შესყიდვის შესახებ. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 30,0 ათასი ლარით, ბეტონი 400/200/200 ზომებით, ხოლო მარკა არანაკლებ 100 ერთეულით განისაზღვრა. სატენდერო განცხადებაში 2013 წლის 13 აგვისტოს შეტანილი ცვლილების შესაბამისად, მოთხოვნილი იქნა 390/190/188 პარამეტრების ბლოკები, ამასთან სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებით, კითხვა-პასუხის მოდულში სავარაუდო პრეტენდენტების მიერ დასმულ შეკითხვებზე გაცემული პასუხებით შემსყიდველის მიერ გამოირიცხა 390/190/190 ზომების ბერკეტის მიწოდება, თუმცა აღნიშნული ცვლილებისა და ბერკეტის სატენდერო განცხადებით დადგენილი ზომების აუცილებლობის განმსაზღვრელი გარემოებები, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი. ამასთან აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული მიწოდების დამადასტურებელი დოკუმენტებით ვერ დგინდება მიწოდებული ბლოკების პარამეტრების შესაბამისობა ხელშეკრულებით მოთხოვნილ პარამეტრებთან.

აღნიშნულ პირობებში ჩატარებულ ტენდერში მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა შპს „LEGI”, რომელთანაც 2013 წლის 9 სექტემბერს გაფორმებული იქნა ხელშეკრულება 25 ათასი ცალი ბეტონის ბერკეტის მიწოდების შესახებ. ერთეულის ფასი 1.16 ლარით, ხოლო ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება 29,0 ათასი ლარით განისაზღვრა.

მიგვაჩნია, რომ შესაბამისი არგუმენტაციის გარეშე სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის პარამეტრების ცვლილებით ადილი აქვს კონკურენციის შეზღუდვას და შესაძლოა გათვლილი იყოს კონკრეტულ მიმწოდებელზე.

6. 2013 წელს დანამატის სახით გაცემულია 1222,4 ათასი ლარი, რაც ხელფასის სახით დარიცხული თანხის 44,7 პროცენტია. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდება ზენორმატიული სამუშაოების სახეები და მათი არასამუშაო საათებში

შესრულების აუცილებლობა, რაც დანამატის სახით გაცემული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.

შპს „ბათუმის წყალის“ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად 2013 წელს შრომის ანაზღაურების სახით დარიცხულია 4 478,0 ათასი ლარი. მათ შორის ხელფასის სახით დარიცხულია - 2732,4 ათასი ლარი, პრემიის სახით - 523,2 ათასი ლარი, ხოლო დანამატის სახით - 1222,4 ათასი ლარი, ანუ ხელფასის სახით დარიცხული თანხის 44,7 %. მუშა-მოსამსახურეებზე დანამატის დარიცხვას საფუძვლად უდევს შპს „ბათუმის წყალის“ დირექტორის 2011 წლის 29 დეკემბრის N60/ად ბრძანება, რომლის შესაბამისადაც საზოგადოების ძირითადი საშტატო ერთეულისა და ხელშეკრულებით მომუშავე მუშებისათვის, 2012 წლიდან, ზენორმატიული სამუშაოებისათვის სახელფასო განაკვეთი განისაზღვრა ძირითადი ხელფასის ორმაგი ოდენობით. ამავე ბრძანებით დანამატი გათვალისწინებულია მძიმე, მავნე და საშიშ პირობებში მუშაობისთვისაც. აუდიტის პერიოდში, საზოგადოებაში სახელფასო დანამატი დარიცხულია სტრუქტურული ერთეულების მიერ წარმოდგენილი ტაბელების შესაბამისად, სადაც აღნიშნულია თანამშრომლების მიერ შესაბამის პერიოდში შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო, თუმცა ვერ დგინდება ამ სამუშაოთა სახეები და მათი არასამუშაო საათებში შესრულების აუცილებლობა. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-17 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად დასაქმებული ვალდებულია ზეგანაკვეთური სამუშაო შეასრულოს ანაზღაურების გარეშე თუ ის დაკავშირებულია სტიქიური უბედურების თავიდან ასაცილებლად ან/და მისი შედეგების სალიკვიდაციოდ. შესაბამისად დანამატების გაცემისას შესრულებული ზეგანაკვეთური მუშაობის სახის, პერიოდისა და აუცილებლობის დასაბუთება, დანამატის სახით გაცემული თანხის მიზნობრიობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს.

პირობითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გარდა, შპს „ბათუმის წყალის“ საქმიანობა და ფინანსური ოპერაციები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

• საზოგადოების 2013 წლის ბალანსი

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში ვერ იქნა წარმოდგენილი საზოგადოების 2013 წლის ბუღალტრული ანგარიშგება (ბალანსი) და ის არც საზოგადოების მესაკუთრე პარტნიორთან - ქ. ბათუმის მერიაში იქნა მოძიებული[9]. შესაბამისად შეუსრულებელია კანონმდებლობის მოთხოვნები,[10] რომელთა მიხედვითაც საზოგადოებას ეკისრებოდა ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისა და დამფუძნებელზე წარდგენის, ხოლო მესაკუთრე პარტნიორს კი მისი განხილვის, დამტკიცებისა და გამოქვეყნების ვალდებულება. წინამდებარე აუდიტორული დასკვნა გაკეთდა აუდიტის მიმდინარეობისას შედგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

• საზოგადოების წესდება

საზოგადოების წესდება დამტკიცებულია ქ. ბათუმის მთვარობის 2006 წლის 17 მარტის N83 დადგენილებით, რომლის შესაბამისადაც საზოგადოების - შპს „ბათუმის წყალკანალის“ საწესდებო კაპიტალის წილთა 100 პროცენტი ეკუთვნის ქალაქ ბათუმის ადგილობრივ თვითმმართველობას. წესდების დამტკიცების შემდეგ შეიცვალა საზოგადოების დასახელება და მას შპს „ბათუმის წყალი“ ეწოდა, ასევე თვითმმართველი ქალაქ ბათუმის აღმასრულებელი ორგანოს - საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 3 დეკემბრის N02/611 ბრძანებით საზოგადოების კაპიტალი გაიზარდა 941,0 ათასი ლარით, თუმცა ეს ცვლილებები არ არის ასახული საზოგადოების წესდებაში.

• წყლის დანაკარგი

შპს „ბათუმის წყალის“ მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის შესაბამისად, 2013 წელს საზოგადოების ერთობლივი შემოსავალი 9328,0 ათას ლარს შეადგენს, მათ შორის წყლის საფასურის სახით დარიცხულია 7989,4 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად 2013 წელს მომხმარებელზე მიწოდებული

[9] თვითმმართველი ქალაქის - ბათუმის მერიის 2014 წლის 30 ოქტომბრის N25/21408 წერილი.
[10] შპს „ბათუმის წყალის“ წესდების მე-13 მუხლის 13.2.14 პუნქტი, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების“ 71-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

40333,4 ტონა წყალიდან, ერთობლივ შემოსავალში გათვალისწინებულია, ანუ გახარჯულად აღიარებულია 12316,4 ტონა წყალი, ანუ მთლიანი მიწოდების 30,5 პროცენტი. შესაბამისად დანაკარგის სახით 69.5 პროცენტის დაფიქსირება, რეალიზებული წყლის მოცულობის სრულად აღრიცხვის თვალსაზრისით რისკის შემცველ გარემოებად უნდა შეფასდეს.

აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს უშუალოდ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, ასევე სასამართლოში კანონით დადგენილი წესით.

გოჩა შარაბიძე /უფროსი აუდიტორი/ 30.12.2014

გურანდა გვაზავა /აუდიტორი/ 30.12.2014

ანგარიშგების ფორმები

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„ბათუმის წყალი“ ს/კ 245556679
ბალანსი
შედგენის თარიღი: 22 ოქტომბერი 2014 წელი

აქტივები	01.01.2014
მიმდინარე აქტივები	
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	1 450 723
სულ ფულადი საშუალებები	1 450 723
მოთხოვნები, მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5 850 557
მოთხოვნები პარტნიორის მიმართ კაპიტალის შევსებაზე	24 170
სხვა მოთხოვნები	3 633
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	5 878 360
ნედლეული და მასალები	1 943 584
ანგარიშვალდებულ პირებზე გაცემული მასალები	4 079
მცირე ფასიანი ინვენტარი	351
სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1 948 014
ავანსად გადახდილი მიწის გადასახადი	453
ზედმეტად გადახდილი საბაჟო გადასახადი	72
სულ წინასწარ გაწეული ხარჯები	525
მთლიანი მიმდინარე აქტივები	9 277 622
გრძელვადიანი აქტივები	
მიწის ნაკვეთი	3 852 969
დაუმთავრებელი მშენებლობები	316 166
შენობები	60 834 038
მრიცხველები	2 357 827
მანქანა-დანადგარები	7 720 050
სატრანსპორტო საშუალებები	2 922 678
ავეჯი და სხვა ინვენტარი	89 115
ოფისის ალჭურვილობა (კომპიუტერული ტექნიკა)	214 612
შენობები ცვეთა 2 %	-1 218 894
მრიცხველები ცვეთა 15 %	-439 108
მანქანა-დანადგარების ცვეთა 8 %	-465 627
სატრანსპორტო საშუალებების ცვეთა 20 %	-1 381 713
ავეჯისა და სხვა ინვენტარის ცვეთა 20 %	-41 734
ოფისის ალჭურვილობის (კომპიუტერული ტექნიკის) ცვეთა 20 %	-93 284
სულ ძირითადი საშუალებების: პირველადი ღირებულება	78 307 455
დარიცხული ცვეთა	-3 640 360
ნარჩენი ღირებულება	74 667 095
არამატერიალური აქტივები	
არამატერიალური აქტივები	2 654
არამატერიალური აქტივების ცვეთა	-1 694
სულ სულ არამატერიალური აქტივები	960
სულ გრძელვადიანი აქტივები	74 668 055

სულ აქტივები	83 945 677

ვალდებულებები	01.01.2014
მიმდინარე ვალდებულებები	
მოკლევადიანი ვალდებულებები	
მოწ. და მოგ. წარმოქმნილი ვალდებულებები	128 040
მიღებული ავანსები	15 807
გადასახდელი ხელფასები	2 440
პროფკავშირების საწევრო	2 145
სულ მოკლევადიანი ვალებულებები	148 432
საგადასახადო ვალდებულებები	
გადასახადელი მოგების გადასახადი	-130 936
გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	-227 630
გადასახდელი ან წინასწარ გადახდილი დღგ	15 477
გადასახდელი ქონების გადასახადი	-118 777
წყლის რესურსების გადასახადი	-10 494
სულ საგადასახადო ვალდებულებები	-472 360
მთლიანი ვალდებულებები	-323 928
საწესდებო კაპიტალი	75 167 929
საანგარიშო პერიოდის მოგება (ზარალი)	1 144 850
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი	2 900 785
გადავადებული გრძელვადიანი შემოსავალი	95 008
გაუნაწილებელი მოგება	4 961 033
მთლიანი საკუთარი კაპიტალი	84 269 605
სულ ვალდებულებები და მფლობელთა კაპიტალი	83 945 677

შპს "ბათუმის წყალის" გენერალური დირექტორის
მოადგილე ფინანსურ საკითხებში: თეიმურაზ ბედინაძე

შპს "ბათუმის წყალის"
მთავარი ბუღალტერი: გიორგი ქევხიშვილი